№9

ოქტომბერი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ბოლნისური ღვინოების მორიგი აღიარება „WinExpo Georgia 2021“-ზე

გვ:2

ქალაქ ბოლნისში ზრდასრულთა განათლების ცენტრი ოფიციალურად გაიხსნა

გვ:3

ვაქცინაციის მარათონი ბოლნისში

გვ:3

ბოლნისური ღვინოების მორიგი აღიარება „WinExpo Georgia 2021“-ზე

განსაკუთრებული და განსხვავებული გემოვნური თვისებებით, ძველი ტრადიციული მეთოდით ქვევრში დაყენებულმა ბოლნისურმა ღვინოებმა, მორიგი აღიარება მოიპოვა. „ვაინექსპო ჯორჯია“-ს გამოფენის ფარგლებში გამართულ ღვინის მე-12 საერთაშორისო კონკურსში Georgiana International wine awara, სადაც 160 ღვინის მწარმოებელი კომპანიის 300-მდე ღვინო იყო წარმოდგენილი, ბოლნისურმა ღვინოებმა 21 მედალი მოიპოვა, 1 ოქრო (,,ხმელოს მარანის'' რქაწითელი), 7 ვერცხლი და 13 ბრინჯაო, კონკურსს, ღვინის ქართველ ექსპერტებთან ერთად, საერთაშორისო პროფესიონალი

ჟიური აფასებდა.

„ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსში ბოლნისელი მეღვინეები მესამედ ვიღებთ ერთობლივად, მონაწილეობას, ეს ხდება ჩვენი მეგობრების კომპანია „არემჯის“ და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით. აქ ვართ წარმოდგენილი 26 საოჯახო მარნის 36 ღვინით. მსგავს საერთაშორისო კონკურსებში არაერთი ჯილდო გვაქვს მიღებული, რაც ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა. კონკურსში მიღებული ჯილდოები და შეფასებები, პოზიტიურად მოქმედებს ჩვენი პროდუქციის გაყიდვაზე. ბოლნური ღვინოები უკვე გავიდა საზღვრებს გარეთ. ეს რეალობაა და საწყისია

დიდი მომავლის.“ -აღნიშნა მეღვინეთა გაერთიანება „ღვინო ბოლნისის“ დამფუძნებელმა გურამ ავქოფაშვილმა.

30 ოქტომბერს, ექსპო ჯორჯიაში ჩატარებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მეცამეტე საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც 160 ღვინის მწარმოებელი კომპანია იყო წარმოდგენილი, მეღვინეთა გაერთიანება „ღვინო ბოლნისი“ 26 საოჯახო მარნის, 36 ღვინით იყო წარმოდგენილი. გარდა ალკოჰოლური სასმელებისა, აქ გამოფენილი იყო შესაფუთი მასალები, სასუქები, მევენახეობა-მეღვინეობის - მანქანა-დანადგარები, სანერგეები, მინა, აქსესუარები და სერვისები. ორდღიანი საერთაშორისო გამოფენის მიზანი მწარმოებლების პროდუქციის პოპულარიზაცია იყო.

„პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო, წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ, კვლავ აღდგა და გაიმართა ტრადიციად ქცეული ღვინის საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი, რაც ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა. პირველ რიგში, ამ შეკრების დანიშნულებაა, მეღვინეებს შორის გამოცდილების გაცვლა, ასევე

ორგანიზატორებს ჩამოყვანილი ჰყავთ საზღვარგარეთიდან იმპორტიორები, რომლებიც ფორუმის ფარგლებში, ქართველ მეღვინეებს გააცნობენ იმ კრიტერიუმებს, რითაც შეძლებენ საერთაშორისო ბაზრების ათვისებას. მჯერა, ამ ფორუმის შემდეგ მეტი ღვინო გავა ექსპორტზე“. -აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ.

ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული იმპორტიორები, რესტორნის ქსელების, ღვინის მაღაზიების წარმომადგენლები.

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-13 საერთაშორისო გამოფენას, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი და საქართველოს პარლამენტის წევრი გოგი მეშველიანი ესწრებოდნენ.

„ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსებში ბოლნისელი მეღვინეები ბოლო წლებია სისტემატიურად იღებენ მონაწილეობას. ადგილობრივი ხელისუფლება კი აქტიურად ცდილობს ბოლნისი, ქვემო ქართლში, ღვინის ტურიზმის ცენტრად იქცეს. მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია მცირე მარნებისთვის, სწორედ ეს ეხმარება და საშუალებას აძლევს ჩვენს მეღვინეებს, პროდუქცია არა მარტო ღვინის ექსპერტებს წარუდგინონ, არამედ მათ აქვთ შესაძლებლობა ღვინის შესყიდვებით დაინტერესებულ პირებს შეხვდნენ. მსგავსი გამოფენები ხელს შეუწყობს განსხვავებული, გემოვნური თვისებების ბოლნისური ღვინოების პოპულარიზაციას“. აღნიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ავტორი: მაგდა დევნოზაშვილი

ვაქცინაციის მარათონი ბოლნისში

,,საქართველოს სამსახურში – ვიცრებით ერთმანეთისთვის'', ამ მთავარი სათქმელით ვაქცინაციის მარათონი დაიწყო. კამპანიამ სტარტი ბოლნისის მუნიციპალიტეტში 19 ოქტომბერს აიღო, რომელშიც სოფელ რაქისუბნის და დაბა კაზრეთის მოსახლეობა ჩაერთო. ვაქცინაციის პროცესს ადგილზე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვალენტინა ნავერიანი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სპეციალისტებთან ერთად, აკვირდებოდა. მოსახლეობას, ადგილობრივი მედ-პერსონალი, სურვილისამებრ, „ფაიზერის", „სინოვაკისა" და „სინოფარმის" ვაქცინით ცრიან. უშუალოდ აცრამდე საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა. მარათონის მიზანი, ეპიდსიტუაციის ფონზე აცრის მაჩვენებლის გაზრდაა. აღსანიშნავია, რომ მარათონის დაწყებამდე, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დახმარებით, დაბა კაზრეთსა და სოფელ რაქისუბანში მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა.

,,მარათონის ფარგლებში განხორციელდა წინა მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებს და მათ ინფორმირებულობას. მარათონის მიზანია ვაქცინაციის მნიშვნელობის, მისი რისკებისა და სარგებელის სწორი გაანალიზება,''- განაცხადა დაავადებათა კონტროლის ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა ქეთევან სანიძემ.

ვაქცინაციის მარათონის წინამოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაშიც. ვაქცინაციის მარათონის შესახებ დეტალური ინფორმაცია, სოფლის ექიმებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, ამირან გამყრელიძემ გააცნო,

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში შოთა რეხვიაშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ბუბა გობეჯიშვილი, ვალენტინა ნავერიანი, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი

თვითმმართველობის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი მაკა მამარდაშვილი და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სპეციალისტები ესწრებოდნენ.

ამირან გამყრელიძემ საქართველოში არსებული ეპიდ ვითარება მიმოიხილა და ვაქცინაციის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, ამასთანავე განმარტა მარათონის მიზანი და ყველას აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

ვაქცინაციის მარათონი ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო და საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს. ვაქცინაციის მარათონის ფარგლებში, სოფელ რაქისუბანში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ბუბა გობეჯიშვილმა „ფაიზერის" ვაქცინის პირველი დოზა გაიკეთა.

ბუბა გობეჯიშვილის განცხადებით, პანდემიის დასრულებისთვის ვაქცინაცია აუცილებელია, ამიტომ იგი საზოგადოებას პროცესში აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდებს.

ბოლნისში ზრდასრულთა განათლების ცენტრი ოფიციალურად გაიხსნა

ქვეყნის მასშტაბით, ბოლნისში რიგით მე-13-ე „ზრდასრულთა განათლების ცენტრი" ოფიციალურად, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი ჰუბერტ ქნირში, სახალხო უნივერსიტეტის გერმანული ასოციაციის დირექტორის მოადგილე გერმანიაში უვე გართენშლეგერი, საქართველოს პარლამენტის წევრი გოგი მეშველიანი და მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ. გახსნის ცერემონიალზე დამსწრე საზოგადოებას ელჩმა სიტყვით მიმართა. მან ცენტრის არსებობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა, ასევე ხაზი გაუსვა ადგილობრივი თვითმმართველობის წვლილს ამ პროექტის განხორციელებაში.

,,ბოლნისში გაიხსნა ზრდასრულთა განათლების ცენტრი. ეს რიგით მე-13-ე ცენტრია საქართველოში, რომელიც რამდენიმე თვეა ფუნქციონირებს. მე ძალიან დიდ ენთუზიაზმს ვხედავ მოსახლეობაში, ამ ცენტრებისა და განათლების მიღების მიმართ. გერმანია ფინანსურად ეხმარება ცენტრებს, მაგრამ მთავარი მაინც ხალხის მოტივაციაა. სწორედ ასეთი სივრცეები წაადგება თითოეულ ადამიანს და თავად მუნიციპალიტეტს", განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა ჰუბერტ ქნირშიმ.

ბოლნისში ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიზანია, წაახალისოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების კონცეფცია, განავითაროს და ხელი შეუწყოს პროფესიულ ზრდას.ცენტრი მსმენელებს 15 სხვადასხვა სასწავლო კურსს სთავაზობს. ასევე 2 კლუბს, ახალგაზრდულ მიმართულებასა და სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრს აერთიანებს. მსურველებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებებს, მიიღონ არაფორმალური განათლება და გაიარონ მათთვის საინტერესო ტრენინგ-კურსები.

,,ცენტრის არსებობა თემისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვცხოვრობთ ცვლილებების დროში, სადაც სწრაფი ცვლილებები ხდება, როგორც ოჯახში, ისე სამუშაო ადგილებზე, ამიტომ ასეთი სივრცის არსებობა მნიშვნელოვანია, სადაც სწავლის შესაძლებლობა ექნებათ ადამიანებს მთელი სიცოცხლის მანძილზე. აქ შემოთავაზებულია არა მხოლოდ პროფესიული კურსები, როგორიცაა მაგალითად ხელსაქმე, ხეზე მუშაობა და ასე შემდეგ, შემოთავაზებულია ასევე ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, გარდა ამისა, სამოქალაქო განათლების კურსებიც იქნება შემოთავაზებული", განაცხადა DVV international-ის დირექტორის მოადგილემ უვე გართენშლეგერმა.

ზრდასრულთა განათლების ცენტრი ბოლნისში, სახალხო უნივერსიტეტის გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV international) საქართველოს ორგანიზებით, ფინანსური მხარდაჭერითა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადგომით შეიქმნა.

„ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის შედეგად, ბოლნისში ზრდასრულთა განათლების ცენტრმა დაიწყო ფუნქციონირება. ცენტრი ახლა უკვე ოფიციალურად გაიხსნა. მინდა ამ პროექტის ინიციატორებსა და DVV International-ს დიდი მადლობა გადავუხადო. ზრდასრულთა განათლების ცენტრში ჩვენი მოქალაქეები სხვადასხვა პროფესიის დაუფლებას შეძლებენ, რაც ვფიქრობ, მუნიციპალიტეტში დასაქმების სფეროს კიდევ უფრო მეტად კონკურენტულს გახდის. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცენტრის კონცეფცია გერმანულ მოდელს ეყრდნობა, რაც ხარისხიან სასწავლო პროგრამებს განაპირობებს. ზრდასრულთა განათლების ცენტრს წარმატებებს ვუსურვებ, ბოლნისის მუნიციპალიტეტი ცენტრის საქმიანობას ყოველთვის აქტიურად დაუჭერს მხარს", - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ზრდასრულთა განათლების ცენტრი მუნიციპალიტეტში 2020 წელს დაფუძნდა, პროფესიული სასწავლებელი რიგით მეცამეტეა და მას ბოლნისში ირმა ზურაბაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ეტაპზე ცენტრს 500-მდე ბენეფიციარი ჰყავს.

,,ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დაწესებულება ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, სადაც მოქალაქეებს საშუალება ექნებათ მიიღონ არაფორმალური განათლება, გაიუმჯობესონ პროფესიონალური უნარ-ჩვევები. ვფიქრობთ, მომავალი

წლიდან ამოქმედდეს ახალი მუნიციპალური სოციალური პაკეტი რომლის ფარგლებშიც აქ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები უფასოდ დაეუფლებიან სხვადასხვა პროფესიას,"განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა გოგი მეშველიანმა.

აბრეშუმისა და ატლასის ლენტებით გაცოცხლებული სამყარო

აბრეშუმისა და ატლასის ლენტებით შექმნილი და გაცოცხლებული ფლორა-ფაუნა, პეიზაჟები და პორტრეტები, დახვეწილ, ორიგინალურ ნამუშევრებში ქრელი ფერებით შთაბერილი სიცოცხლე - ასეთია თვითნასწავლი ხელოვანის ნამუშევრები, სადაც პროფესიით პედაგოგის

სულიერი სამყაროა გადმოცემული.

ია გვენეტაძე ხელსაქმით რამდენიმე წელია აქტიურად დაკავდა, თავის შექცევის მიზნით დაწყებულმა გატაცებამ ნელ-ნელა სერიოზული სახე მიიღო. ნამუშევარს ახალი შედევრები და მეტი დაინტერესება მოჰყვა, ასე შეიქმნა მისი სულის ნაწილები.

ნამუშევრები ხელოვანს ჰგავს, ზოგი ფერადი და მხიარული, ხან სევდიანი და მშვიდი ტონალობით. დღეს ძირითადად ფერადი ლენტებით მუშაობს, თუმცა ხატვაც და კერვაც კარგად გამოსდის. ბავშვობაში ბებიისგან ნასწავლმა ხელსაქმემ უკვალოდ არ ჩაიარა და დღეს დაბა კაზრეთში და სოციალურ ქსელშიც, კარგად იცნობენ მის ნამუშევრებს.

იმერეთის სოფელ ქვედა სიმონეთში დაბადებულმა ია გვენეტაძემ ბავშვობა დაბა კაზრეთში, დედულეთში პაპა-ბებიასთან გაატარა, სადაც თავგადასავლებით სავსე ბავშვობა ქონდა.

,,ექვს წლამდე დედულეთში ვიზრდებოდი, სადაც ლაღი და თავგადასავლებით სავსე ბავშვობა გავატარე. ბებია ძალიან კარგად ქსოვდა და კერავდა, ცნობისმოყვარე ვიყავი, ვაკვირდებოდი და ვიმახსოვრებდი, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ხელსაქმე მეხერხება, სკოლის ასაკში სოფელში დავბრუნდი, წარჩინებული მოსწავლე ვიყავი,

ტექნიკური საგნები მიყვარდა, თუმცა აქტიურად ვიყავი დაკავებული სპორტით, მუსიკითა და ხატვით. გონებაში ჩარჩენილი თვლების ამოყვანა და ქსოვა დიდობაში ვცადე, გამომივიდა. მახსოვს მამას მეგობარი სამკერვალოს უფროსი იყო და ის მიგზავნიდა მორჩენილ ფერად ნაჭრებს, რითაც თოჯინასა და ჩემს პატარა დას კაბებს ვუკერავდი, ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ბავშვობაში ასევე ძალიან მიყვარდა ,,მასწავლებლობანას" თამაში, რამაც დიდი გავლენა იქონია პროფესიის არჩევაზე".

სკოლის დამთავრების შემდეგ იამ, იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტში, მათემატიკა-ინფორმატიკის განხრით, ჩააბარა, პარალელურად სწავლობდა აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში შრომა-ფიზიკის დაუსწრებელ ფაკულტეტზე. როგორც თავად ამბობს, სტუდენტობა გაჭირვებულ და მძიმე 90-იანებში მოუწია. ,,მესამე კურსის სტუდენტმა ისევ დედულეთს მოვაშურე და კაზრეთის მეორე საშუალო სკოლაში დავიწყე მუშაობა მათემატიკა-ინფორმატიკის პედაგოგად, მუშაობა ცოტა ხანს მომიწია, რადგან ეს არ იყო ის, რაც მინდოდა, მე სხვა რაღაცას ვეძებდი, დავიწყე ქარგვა, სწორედ ამ პერიოდში გავიცანი ხელოვნების პედაგოგი ქალბატონი ცისანა ჭალიძე, მას ვეკითხებოდი რჩევებს. ვცადე მარილით და შუშით ხატვა, თუმცა ნამუშევრები დღემდე არ დამისრულებია, იმ პერიოდში ძალიან

ქირდა ცხოვრება, ამიტომ შემოსავლისა და თავის რჩენისათვის სამსახური იყო აუცილებელი, 2008 წელს კაზრეთის პირველი სკოლის შვილობილ სკოლაში სოფელ ქვეშში დავიწყე მუშაობა. აქ საოცარი კოლექტივი დამხვდა, შემდეგ იყო სასულიერო სკოლა, ეხლა კი ისევ სოფელ ქვეშს დავუბრუნდი სპეც მასწავლებლის სტატუსით, ჩავაბარე გამოცდები და ამ მიმართულებით ვცდილობ მუდმივად გავიზარდო".

წლების წინ მას ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა და დროებით მოუწია აქტიური ცხოვრებისთვის თავის დანებება, სწორედ ამ დროს დაუბრუნდა მისთვის საყვარელ საქმეს, დაუმეგობრდა სოციალურ ქსელს, საიდანაც გააუმჯობესა და ისწავლა ბევრი ახალი ხელსაქმე, პოლიეთილენის ბოთლებისგან ამზადებდა აქსესუარებს, ზოგს საჩუქრად, ზოგსაც ყიდდა და მცირე შემოსავლის წყაროც ჰქონდა.

,,ზუსტად ამ პერიოდიდან იწყება ხელოვნებით ჩემი ტკბობა, სწორედ აქაა სულიერი თავისუფლება, ინტერნეტის საშუალებით ვსწავლობდი ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობებს, ვქმნიდი საახალწლო აქსესუარებს, დეკორატიულ სანთლებს, გოფრე ქაღალდებისგან ვამზადებდი თაიგულებს, კალათებს. პანდემიამდე ვყიდდი კიდეც, ვაბარებდი მაღაზიაში. ხელნაკეთი ნივთების დამზადება გარკვეულ დროს და ნერვებს მოითხოვს, საკმაოდ შრომატევადი საქმეა, ყველა დეტალს დაკვირვება სჭირდება, თუმცა გაყიდვა იმ ფასში, რაც გიღირს, რთულია. პანდემიამ გააჩერა ყველაფერი, ახლა მხოლოდ სასაჩუქრედ ვამზადებ. ჩემს ნამუშევრებს, ადრე მხოლოდ მეგობრები, თანამშრომლები იცნობდნენ, ახლა სოციალურ ქსელში პირად გვერდზე ვათავსებ. ძირითადად ფერადი ლენტებით

ვმუშაობ, რაც ინტერნეტის საშუალებით ვისწავლე, ამ მიმართულებით მომუშავე ხელოვანები დამეხმარნენ, მე ჩემებური შტრიხები შევიტანე და ასე ნელ-ნელა დავხვეწე. პირველად იასამნები გავაკეთე, რასაც ძალიან ბევრი ნაქარგი მოჰყვა, ამჟამად შეკვეთაზე ვმუშაობ, სასიამოვნო პროცესია, დაპრინტულ ტილოზე ფერთა შეხამებით ათავსებ ლენტებს, აქ მთელ სულსა და გულს ვდებ".

თვითნასწავლი ხელოვანის სურვილია, მისი საოცარი მარჯვე ხელებით ათასგვარად აყვავებული ნაქარგები, რომელშიც სულს და გულს დებს, ბევრმა ადამიანმა გაიცნოს, მანამდე კი ცდილობს მისი სულის ნაწილები სხვა დაინტერესებულ ადამიანებს გაუზიაროს, გაახაროს მათი გულები და გაულამაზოს სახლები. „ამ ეტაპზე პანდემიამ შემიშალა ხელი, გამეცნო ნამუშევრები ფართო საზოგადოებისთვის, ბევრი გავაჩუქე და ძალიან მიხარია, როცა მას სხვებთან ვნახულობ, სიამაყით ვივსები, თუმცა მაქვს ისეთი ნაქარგებიც, რომელიც მხოლოდ ჩემია და

იმას ვერასოდეს შეველევი".

მაგდა დევნოზაშვილი

„არ არსებობს წინაღობა, რომელსაც ვერ გადავლახავ“ - ოცნებები და შემართება რომელიც კაზრეთის მე-2-ე საჯარო სკოლიდან დაიწყო

როგორც ყველა ახალგაზრდა, ანნა ბრუეზოვსკაიაც საზღვარგარეთ განათლების მიღებაზე ოცნებობდა.

წინსვლა-წარმატებაზე ოცნება დაბა კაზრეთის მე-2 საჯარო სკოლიდან დაიწყო. ჩანაფიქრი მხოლოდ ოცნებად რომ არ დარჩენილიყო, სწავლობდა საუკეთესოდ, კითხულობდა ბევრს, ჩართული იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტებში, იყო ძიებაში და ყოველ წუთს ცდილობდა საკუთარი თავი ახალი გამოწვევების წინაშე დაეყენებინა. პირველი ასეთი გამოწვევა FLEX-ის პროგრამაში ჩართვა იყო, მე-12-ე კლასი ამერიკაში, ილინოისის შტატში გაატარა და მაღალი აკადემიური მოსწრების გამო, ამერიკული სკოლის დიპლომიც აიღო, მაგრამ ანნა ამით არ დაკმაყოფილდა, მეტის მისაღწევად ყველა შესაძლებლობა, წლების მანძილზე

დაგროვილი ცოდნა, რესურსი მაქსიმალურად გამოიყენა და სწავლა საზღვარგარეთ გააგრძელა.

2018 წელს „სტიპენდიუმ ჰუნგარიკუმის“ პროგრამის ფარგლებში, ანნას მიეცა უნიკალური შანსი, ბუდაპეშტში, იოტვოშ ლორანდის უნივერსიტეტში, სრული დაფინანსებით, საერთაშორისო ურთიერთობების განხრით, სწავლა ბაკალავრის საფეხურზე გაეგრძელებინა. ამუამადაც ანნა სწავლას ამავე უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე აგრძელებს.

თავდაპირველად არსებობდა დაბნეულობა და გაურკვევლობა, თუმცა მალევე გაიაზრა, რომ იყო იქ, სადაც დაძაბვის, მოდუნების, უკანდახევისა და შიშის უფლება არ ჰქონდა.

დატვირთული სასწავლო გრაფი კი, კონკურენტუნარიანი გარემო და უცხო ქვეყანაში ინტეგრირება, ანნას თითქმის არ გასჭირვებია, რადგან თვლის, რომ მუდამ კომფორტულ ზონაში ყოფნა არ არის საკმარისი იმ მწვერვალების დასაპყრობად, რომლისთვისაც თავდაუზოგავად შრომობ, ათენებ ღამეებს და მზად ხარ, გაუმკლავდე ყველა იმ დაბრკოლებას, რაც პიროვნულ და პროფესიულ ზრდას თან ახლავს.

„კონკურენტუნარიანი გარემოა, საკმაოდ წარმატებული და პერსპექტიული ახალგაზრდები სწავლობენ ჩემთან ერთად. ამიტომ სწავლა ნამდვილად არ არის მარტივი, მოდუნების დრო არ მრჩება. ძალიან დატვირთული გრაფიკია, საკმაოდ მომთხოვნი ლექტორები და უნივერსიტეტია. ამუამად ვსწავლობთ როგორც ონლაინ, ასევე უნივერსიტეტში მისვლითაც და ვცდილობთ მარტივად შევეგუოთ ამ რთულ პერიოდს. ასევე ყველანაირ წყაროსთან და სასწავლო ბაზასთან გვაქვს

წვდომა სახლიდან გაუსვლელად, მულტიკულტურული გარემოა, რადგან მსოფლიოს ყველა წერტილიდან გვყავს სტუდენტები. ეს ძალიან საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის სწავლას, რადგან შემიძლია პერსონალურად გავესაუბრო ყველას და გავიგო მათი გამოცდილება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.“

ანნა ბრუეზოვსკაია უნივერსიტეტში სამაგალითო სტუდენტის სახელით სარგებლობს, სხვადასხვა აქტივობებშია ჩართული, იღებს არაფორმალურ განათლებას, ზაფხულობით ახალგაზრდული ბანაკის მენტორი და ლიდერია, არის ვორქშოპებისა და კონფერენციების აქტიური მონაწილე. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ატარებს, უყვარს გორგოლაჭებით სიარული და წვიმიან ამინდში ფილმების ყურება.

„აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა აქტივობაში, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის გარეთ. მაგალითად

წინა წელს ვიყავი ჩემი სტიპენდიის საერთაშორისო მენტორი, ასევე რამდენიმე დღის წინ დავამთავრე სტაჟირება ტერორიზმის კვლევით ცენტრსა და ბუდაპეშტის კულტურული ურთიერთობების პოლიტიკის ინსტიტუტში. ყოველთვის ვცდილობ სწავლის გარდა სხვა აქტივობებითაც დავკავდე და არაფორმალური განათლებაც მივიღო. ზაფხულობით სხვადასხვა ახალგაზრდული ბანაკის მენტორი, ლიდერი, სტუდენტური ვორქშოპებისა და კონფერენციების მონაწილე ვარ.“

ანნა ბრუეზოვსკაიას სამომავლო გეგმები თავიდან ბოლომდე საქართველოს უკავშირდება, როგორც თავად აღნიშნავს, არის მაქსიმალისტი, მუდამ ძიებაშია, უყვარს რთული გამოწვევების წინაშე ყოფნა და რაც მთავარია, 23 წლის გოგონასთვის არ არსებობს წინაღობა, რომელსაც ვერ გადალახავს. სწორედ ეს სტრატეგიული გეგმა აძლევს მას განვითარებისა და კარიერული წინსვლის საშუალებას. მაგისტრატურის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდება და იქ მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას ახალგაზრდებს გაუზიარებს.

„სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ მინდა ჩემ კარიერულ განვითარებას მივხედო და საქართველოში ჩასვლისას ვეცადო განვავითარო და წინ წამოვწიო ის საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობ, რადგან მიმაჩნია ახალგაზრდები ვართ ერთადერთი მთავარი ძალა წარმატებული სახელმწიფოს აშენებისთვის, იმ ძველი სტერეოტიპების დანგრევაა საჭირო, რაც სამწუხაროდ, არ აძლევს ქვეყანას განვითარების და წინსვლის საშუალებას. როგორც ასეთი, წარმატების

ფორმულა არ მაქვს, რადგან ყოველთვის ვცდილობ ახალი გამოწვევების წინაშე დავაყენო ჩემი თავი, მეტი გამოცდილება მივიღო და ვისწავლო რაღაც ახალი. ამიტომ, ვცდილობ, შანსი არ გავუშვა ხელიდან, რადგან შემდეგ არ მქონდეს სინანულის გრძნობა, არასდროს ვჯერდები იმას, რაც მაქვს, რადგან მაქსიმალისტი ვარ.“

ანნა მაგალითია იმ აბიტურიენტებისა, ვინც სწავლას უცხოეთში აპირებს, ურჩევს თანატოლებს, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი, იყვნენ შრომის მოყვარულნი, ინოვატორები და მაძიებლები, რადგან ქვეყნის სიძლიერეს, განვითარებას და წინსვლას, სწორედ ახალგაზრდები წარმოადგენენ.

მარინა გავაშელი

პანდემიის თაობა

კორონავირუსი, პანდემია, ლოქდაუნი, კომენდატის საათი, პირბადე და დისტანცია - ეს იმ ტერმინების არასრული ჩამონათვალია, რომელსაც დღეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ყველა ასაკის ადამიანი დღეში არაერთხელ იყენებს. კოვიდ19-ის უმცირესმა ნაწილაკმა მსოფლიო შეძრა. მისი წარმოშობა, გავრცელება და შედეგები ყველა ერის, მრწამსის, რასის, რჯულისა თუ სოციალური სტატუსის ადამიანისთვის, განსჯის საგნად იქცა. ამ ქაოსში სიკვდილ-სიცოცხლის სადარაჯოზე ცხოვრება მაინც გრძელდება, მომავალი თაობები იაზრებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს და ყველაფერს აკეთებენ დასახული მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ პანდემიაში გაჩნდა ახალი რუბრიკა სახელწოდებით ,,პანდემიის თაობა", სადაც შაბლონურ კითხვებს ჩვენი რესპოდენტები უპასუხებენ. რუბრიკა ამჯერად, წარმატებულ პირველ კურსელს მასპინძლობს. ანი თათელაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში,

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან ფაკულტეტზე 70 პროცენტიანი გრანტით მოხვდა. შრომისმოყვარე ანიმ მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ იარა, ზუსტად იცის, რა უნდა ცხოვრებისგან და როგორ მართოს ის ....

- ვინ არის ანი თათელაძე.

- ვარ 18 წლის, დავამთავრე ბოლნისის იოანე ბოლნელის სახელობის სკოლა და ჩავაბარე ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინგლისურენოვან ეკონომიკის ფაკულტეტზე.

- მომიყევი სკოლაზე, როგორი იყო ეს თორმეტი წელიწადი....

- პირველი კლასიდან იოანე ბოლნელის სახელობის სკოლაში ვსწავლობ და ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი 12 წელი სწორედ აქ გავატარე. ყველაზე ძვირფასი "მოგონებების წიგნი" შემიქმნა სკოლამ და მომცა საშუალება განმევითარებინა ჩემი შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროში, სწორედ ჩემი სკოლის დამსახურებაა, რომ არაფორმალური განათლების არაერთი კონკურსის მონაწილე ვარ.

- ყველას ერთნაირი მონდომებით სწავლობდით, თუ გაქვთ გამორჩეული საგანი?

- მეცადინეობა არასდროს ყოფილა ჩემთვის სასჯელი (თუ აბიტურიენტობას არ ჩავთვლით). როცა მოვინდომებდი, აუცილებლად ვაღწევდი, თუმცა პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველთვის მქონდა, გამორჩეული საგანი არ მაქვს .

- გარდა სასკოლო პროგრამისა, ვიცით სხვადასხვა პროექტებში იყავით ჩართული

- არაერთ პროექტსა და კონსურსში ვიღებდი მონაწილეობას, დავდიოდი ბანაკებში. პირველად რომ ბანაკში წავედი 14 წლის ვიყავი, სრულიად გამოუცდელი უცხო სიტუაციაში. რობოტექნიკის ბანაკი იყო ჩემთვის საუკეთესო გამოცდილება, სადაც ვსწავლობდით არდუინოზე მუშაობას, რობოტოტექნიკას და ვერთობოდით. ვიყავი სკაუტურ ბანაკში და 2019 წელს მოვხვდი 100 საუკეთესო მოსწავლეს შორის, რომლებიც ბათუმისქართულ-ამერიკულსკოლაშიგამართულ STEAM ბანაკში მიიღებდნენ მონაწილეობას. ამის შემდეგ დავამთავრე კანტის აკადემიის ბიზნესის მართვისა და ადმინისტრირების კურსი. 2020 წელს მონაწილეობას ვიღებდი კარიერული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ კურსში, სადაც სამედიცინო განათლებას ვეცნობოდით, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც. კიდევ უამრავი პროექტია, რომელშიც მონაწილეობა მიმიღია.

- რა გავლენა მოახდინა პანდემიამ თქვენს ცხოვრებაში?

- პანდემიის დროს, სახლში ყოფნისას ახალი ფობი შევიძინე. საღებავებით ვხატავდი კედელზე და ამით ვირთობდი თავს. ძირითად დროს ოჯახში ვატარებდი და ონლაინ გაკვეთილებს ვესწრებოდი. კოვიდ ვირუსის გავრცელებამ დიდი დრო გამომითავისუფლა, თუმცა, დროის სწორად წარმართვა, მარტივი არ აღმოჩნდა.

- რატომ აირჩიეთ ეს პროფესია?

- მეთერთმეტე კლასში გადავწყვიტე, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე ჩამებარებინა, სადაც ფრანგულ ენას ვისწავლიდი და შესაძლებლობა მექნებოდა წავსულიყავი საფრანგეთში, უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამით, თუმცა, როცა გამოცდა ჩავაბარე და ტესტში მიღებული ქულები გამოქვეყნდა, მივხვდი,რომ მეტი შესაძლებლობა მქონდა, ჩემი კარიერული განვითარებისთვის ხელსაყრელი იყო ინგლისურ ენაზე სწავლა, ამიტომ ავირჩიე IS-ET-ი. უკვე მეექვსე კვირაა, ლექციებს ვესწრები და თანდათანობით ვრწმუნდები, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

- რა თქვა ოჯახმა, თქვენი გადაწყვეტილების შესახებ?

- ყველა კმაყოფილი იყო ჩემი პირველი გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება შევიცვალე ოჯახმა ჩათვალა, რომ უკეთ ვიცი ჩემი შესაძლებლობები. ეს გადაწყვეტილება ყველაზე დიდი და წარმატებული გამოწვევა იყო ჩემ ცხოვრებაში. როდესაც უნივერსიტეტში ჩავირიცხე, დედამ მხოლოდ ამის შემდეგ გამიმხილა, რომ უნდოდა ფინანსებისა და ეკონომიკის კუთხით მესწავლა.

- თავისუფალ დროს რისი კეთება გიყვართ?

- თავისუფალ დროს ზუსტად ისე ვატარებ , როგორც ჟღერს სიტყვა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა .

- რომ არა პანდემია ...

- რომ არა პანდემია, უფრო ახლო ურთიერთობა მექნებოდა ადამიანებთან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩემ ცხოვრებაში. საქმიანობაში კოვიდს ხელი არ შეუშლია.

- რას ეტყოდი მათ, ვინც ახლა გადის იმ გზას, რომელიც შენ გაიარე?

- აბიტურიენტებს, ვურჩევ, მაქსიმალური გააკეთონ, დაიხარჯონ და იმეცადინონ იმდენი, რამდენსაც შეძლებენ, რადგან ბოლოს მართლა ტკბილდება.

- რას გეგმავთ სამომავლოდ?

- მომავალში მინდა დასახულ მიზნებს მივაღწიო, ყოველი დღე ამ მიზნების სისრულეში მოყვანას ემსახურება.

- რა არის ამჟამად თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი?

- ამჟამად, ყველაზე მთავარი იმ ბავშვების სიაში მოხვედრაა, რომლებიც 2025 წელს ბრემენის უნივერსიტეტში გაემგზავრებიან სასწავლებლად.

- ცხოვრებაში წარმატება ჩემთვის ნიშნავს ...

- ჩემთვის წარმატება ნიშნავს, მიზნის მისაღწევად

გადადგმულ ნაბიჯს.

- რამდენად არის დამოკიდებული წარმატება ბედნიერ შემთხვევაზე?

- იღბალი არასდროს ყოფილა ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი და არ მგონია, ვინმეს წარმატება გამართლებაზეა. ადამიანები ვშრომობთ წარმატებისთვის და არასდროს ველოდებით იმ მომენტს, როდის მოვა ჩვენი ბედნიერი დღე.

- გაქვთ რაიმე დამალული ნიჭი, ან გასაოცარი ჰობი?

- ჩემი დამალული ნიჭი რითმების მოფიქრებაა, რომელიც ბევრმა დღემდე არ იცის.

- ვინ არის თქვენთვის მისაბაძი მაგალითი ცხოვრებაში?

- ვფიქრობ, ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, არავის უნდა მიბაძოს, მაგრამ არსებობს რაღაცეები, რასაც სხვისგან ვსწავლობთ და

გვინდა, რომ საქმეს მათ მსგავსად ვაკეთებდეთ.

- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც თქვენს შესახებ უნდა იცოდეს საზოგადოებამ.

- საზოგადოებამ ჩემს შესახებ აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ ჩემი მიზანია ვიმოგზაურო მსოფლიოს გარშემო.

- სად ხედავთ თქვენს თავს 5 წლის შემდეგ.

- ხუთი წლის შემდეგ ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრატურაზე ვისწავლი.

- როგორ ქვეყანაში ისურვებდით ცხოვრებას.

- ქვეყანაში, სადაც არ იარსებებს გენდერული დისბალანსი, ჩამოუყალიბებელი მმართველობა, შიმშილი, უსახლკარობა და უპასუხისმგებლო მოსახლეობა.

- დაგვისახელე მომავალი წარმატებული ადამიანი, ვისაც იხილავდი ჩვენს რუბრიკაში.

- მომავალი წარმატებული ადამიანი, ჩვენი წლევანდელი მეთორმეტე კლასიდან შეგიძლიათ ამოარჩიოთ.

- მადლობა ანი,გისურვებთ წარმატებებს.

ავტორი:ნონა ხუზმიაშვილი

Bolnisidə peyvənd marafonu başladı

"Gürcüstanın xidmətində - bir -birimiz üçün peyvənd olunuruq" peyvənd marafonu bu əsas mesajla başladı. Kampaniya 19 oktyabrda Bolnisi Bələdiyyəsində başladı, Rajisubani kəndi və Kazreti qəsəbəsinin əhalisini cəlb etdi. Vaksinasiya işləri bələdiyyə merinin müavini Valentina Naveriani və Xəstəliklərə Nəzarət və İctimai Sağlamlıq Milli Mərkəzinin mütəxəssisləri tərəfindən yerində izlənilir. ƏhaliniÇ arzu edərlərsə tibb işçiləri "Pfizer", "Sinovac" və "Sinopharm" peyvəndi edirlər. Peyvənddən dərhal əvvəl məlumat görüşləri keçirildi. Marafonun məqsədi epidemioloji vəziyyət fonunda peyvəndin sürətini artırmaqdır. Qeyd edək ki, marafon başlamazdan əvvəl yerli hökumətin və Bolnisi İctimai Səhiyyə Mərkəzinin köməkliyi ilə Daba Kazreti və Raçisubani kəndində hazırlıq işləri aparılıb.

"Kənd əhalisi ilə görüşlərin keçirilməsini və onların maarifləndirilməsini nəzərdə tutan marafon çərçivəsində hazırlıq işləri həyata keçirilib. Marafonun məqsədi peyvəndin əhəmiyyətini, onun risklərini və faydalarını düzgün təhlil etməkdir", - Xəstəliklərə Nəzarət Mərkəzinin Yoluxucu Xəstəliklər şöbəsinin baş mütəxəssisi Ketevan Sanidze bildirib.

Peyvənd marafonuna hazırlıq iclası da Bolnisi Bələdiyyəsində keçirilib. Xəstəliklərə Nəzarət

və İctimai Sağlamlıq Milli Mərkəzinin baş direktoru Amiran Qamğrelidze kənd həkimlərinə və yerli özünüidarəetmə nümayəndələrinə peyvənd marafonu barədə ətraflı məlumat verib. İclasda Kvemo Kartli üzrə dövlət nümayəndəsi Şota Rexviaşvili, Bolnisi bələdiyyəsi merinin müavinləri Buba Qobejişvili, Valentina Naveriani, Marneuli və Dmanisi bələdiyyələrinin yerli özünüidarəetmə orqanlarının nümayəndələri, İctimai Səhiyyə Mərkəzinin rəhbəri Maka Mamardaşvili və Xəstəliklərə Nəzarət və İctimai Sağlamlıq Milli Mərkəzinin mütəxəssisləri iştirak ediblər.

Amiran Qamğrelidze Gürcüstandakı mövcud vəziyyətə nəzər salıb və peyvəndin vacibliyini vurğulayıb, eyni zamanda marafonu izah edib və hər kəsi fəal əməkdaşlığa çağırıb.

Peyvənd marafonu Bolnisi bələdiyyəsindən başlayıb və Gürcüstanın bütün regionlarını əhatə edir.

Peyvənd marafonu çərçivəsində koronavirusa qarşı Buba Qobejişvili də peyvənd olunub

Peyvənd marafonu çərçivəsində Raçisubani kəndində Bolnisi Bələdiyyəsi merinin birinci müavini Buba Qobejişvili "Pfizer" peyvəndinin ilk dozasını qəbul edib.

Buba Qobejişvilinin sözlərinə görə, pandemiyaya son qoymaq üçün peyvənd lazımdır, ona görə də o, ictimaiyyəti peyvənd prosesində fəal iştirak etməyə çağırır.

Bolnisidə Böyüklər üçün Təhsil Mərkəzinin rəsmi açılışı olub

Bolnisi üzrə 13-cü "Böyüklər üçün Təhsil Mərkəzinin" rəsmi açılışı olub. Tədbirdə Almaniya Federativ Respublikasının səfiri Hubert Knirşi, Almaniya Xalq Universiteti Assosiasiyasının direktor müavini Uve Qartenşleqqer, parlamentin üzvü Qoqi Meşveliani və bələdiyyənin meri Davit Şerazadişvili digər dəvət olunmuş qonaqlarla birlikdə iştirak ediblər. Səfir açılış mərasimində tamaşaçılar qarşısında çıxış edib. O, mərkəzin mövcudluğu və əhəmiyyətindən, eləcə də bu layihənin həyata keçirilməsində yerli özünüidarəetmə orqanlarının töhfələrindən danışıb.

"Bolnisidə Böyüklər üçün Təhsil Mərkəzi açılıb. Bu, Gürcüstanda uzun müddətdir fəaliyyət göstərən 13-cü mərkəzdir. Əhalidə bu mərkəzlərə, təhsil almağa böyük həvəs görürəm. Almaniya mərkəzlərə maddi yardım edir, amma əsas odur ki, insanları motivasiya etsinlər. Belə məkanlar hər bir şəxs və bələdiyyənin özü üçün faydalı olacaq",- Almaniya Federativ Respublikasının səfiri Hubert Knirş deyib.

Bolnisidəki Böyüklər üçün Təhsil Mərkəzinin məqsədi ömür boyu öyrənmə konsepsiyasını təşviq etmək, peşəkar artımı inkişaf etdirmək və dəstək olmaqdır. Mərkəz tələbələrə 15 müxtəlif təlim kursu təklif edir. Buraya həmçinin 2 klub, gənclər istiqaməti və təlim və məşğulluğun təşviqi mərkəzi daxildir. Müxtəlif peşə istiqamətlərinə yiyələnmək, qeyri-formal təhsil almaq və maraqlı təlim kursları keçmək istəyənlərə imkan yaradır.

"Mərkəzin mövcudluğu cəmiyyət üçün çox vacibdir. Biz həm ailədə, həm də iş yerində sürətli dəyişikliklərin baş verdiyi bir dəyişiklik dövründə yaşayırıq, ona görə də insanların ömür boyu öyrənmə imkanının olacağı belə bir məkanın olması vacibdir. Təkcə əl işləri, ağac emalı və s. kimi peşə kursları deyil, həm də dil və kompüter kursları, habelə vətəndaşlıq təhsili kursları təklif olunur",- DVV İnternational-ın direktor müavini Uve Qartenşleqqer deyib.

Böyüklər üçün Təhsil Mərkəzi Bolnisidə Gürcüstan Xalq Assosiasiyasının Beynəlxalq Əməkdaşlıq İnstitutunun (DVV international) təşkilatçılığı, yerli özünüidarənin maliyyə dəstəyi və yardımı ilə yaradılmışdır.

"Yerli özünüidarə ilə əməkdaşlıq nəticəsində Bolnisidə Böyüklər üçün Təhsil Mərkəzi fəaliyyətə başlayıb. Mərkəz artıq rəsmi olaraq fəaliyyətə başlayıb. Mən bu layihənin təşəbbüskarlarına və DVV International-a təşəkkürümü bildirirəm. Böyüklər üçün Təhsil Mərkəzində vətəndaşlarımız müxtəlif peşələrə yiyələnə biləcəklər ki, bu da məncə bələdiyyədə məşğulluq sahəsini daha da rəqabətədavamlı edəcək. Mərkəzin konsepsiyasının alman modeli əsasında

qurulması da çox vacibdir ki, bu da keyfiyyətli təlim proqramlarına gətirib çıxarır. Böyüklər üçün Təhsil Mərkəzinə uğurlar arzulayıram, Bolnisi Bələdiyyəsi hər zaman mərkəzin fəaliyyətinə fəal dəstək verəcək", - deyə Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib.

Böyüklər üçün Təhsil Mərkəzi 2020-ci ildə bələdiyyədə yaradılıb. Peşə məktəbi ardıcıl on üçüncüdür və Bolnisidə İrma Zurabaşvili rəhbərlik edir. Bu mərhələdə mərkəzdə 500-ə yaxın benefisiar var.

"Bu, bələdiyyəmiz üçün çox vacib bir qurumdur ki, burada vətəndaşlar qeyri-formal təhsil almaq, peşə bacarıqlarını artırmaq imkanı əldə edəcəklər. Düşünürük ki, gələn ildən yeni bələdiyyə sosial paketi istifadəyə veriləcək, bu paket çərçivəsində sosial cəhətdən həssas vətəndaşlar pulsuz olaraq müxtəlif peşələrə yiyələnə biləcəklər", - Gürcüstan parlamentinin üzvü Qoqi Meşveliani bildirib.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არემჯის სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი გაიხსნა

კომპანია არემჯიმ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე, ინოვაციური, სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი გახსნა.

საზეიმო ღონისძიებაზე არემჯის აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ და სტუ-ს რექტორმა დავით გურგენიძემ მხარეებს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში განახლებულ სამოქმედო გეგმას მოაწერეს ხელი. განახლებული გეგმა სტუდენტებისთვის არაერთი საინტერესო პროექტის შეთავაზებას ითვალისწინებს.

თორნიკე ლიპარტია არემჯის აღმასრულებელი დირექტორი: „განათლების ხელშეწყობა და სტუდენტური მხარდაჭერა ჩვენი კომპანიის CSR-პროგრამის ერთერთი პრიორიტეტია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ვფიქრობ, რომ სწორედ ის სასწავლებელია, რომელიც ყველა ჩვენთვის საჭირო პროფესიას აერთიანებს. მოხარული ვარ, რომ ახალი სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი ღია იქნება სხვადასხვა საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის, რომლებიც თეორიულ ცოდნასთან ერთად, ადგილზე განსხვავებულ და თანამედროვე ტექნოლოგიებს შეისწავლიან.“

არემჯის სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი სრულიად ახალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მულტიფუნქციური საგანმანათლებლო პლატფორმაა. ცენტრი ბაკალავრის საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს მისცემს საშუალებას მაღალ ტექნოლოგიურ ბაზაზე იმუშაონ საკურსო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებზე. ასევე ცენტრში არსებული მძლავრი პროგრამული ბაზა სტუდენტებს მისცემს საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, ვორკშოფებსა და ვებინარებში წარმატებული პოზიციონირების შესაძლებლობას.

ტექნოლოგიების ცენტრში პერიოდულად ლექციებს და სემინარებს გამართავენ არემჯის მენეჯერები და სხვადასხვა მიმართულების ხელმძღვანელები, ასევე მოწვეული ქართველი და საერთაშორისო სპეციალისტები.

აღსანიშნავია, რომ სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი, არემჯისა და ტექნიკურ უნივერსიტეტის წარმატებული თანამშრომლობის შედეგია და ის საქართველოში სამთო-გეოლოგიის მიმართულების განვითარებას ისახავს მიზნად.

არემჯის მხარდაჭერით, მე-20 საუკუნის მოდერნისტი მწერლის, ბასილ მელიქიშვილის წიგნი გამოიცა

თურმანი - ასე ეწოდება მე-20 საუკუნის მოდერნისტი მწერლის, ბასილ მელიქიშვილის წიგნს, რომელიც მის შემოქმედებას, გასულ საუკუნეში გამოქვეყნებულ და დღემდე უცნობ ნაწარმოებებს აერთიანებს.

წიგნი კომპანია არემჯის მხარდაჭერით გამოიცა და მისი პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. წიგნის შემდგენელ-რედაქტორები არიან ისტორიკოსი და მკვლევარი ლევან ჟვანია და ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი გია არგანაშვილი.

ბასილ მელიქიშვილი არის არაერთი შესანიშნავი მხატვრული ტექსტის ავტორი. მისი შემოქმედება დატვირთულია მითოლოგიური ელემენტებით, ფოლკლორული ხასიათებითა და ისტორიული წარსულით. მწერლის მოთხრობები და მინიატურები ეხმიანება სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეულ საზოგადოების დეპრესიულ მდგომარეობას.

ბასილ მელიქიშვილი 1924 წელს ანტისაბჭოთა საქმინობისთვის დააპატიმრეს. მეტეხის ციხეში ის დაავადდა ქლექით. საბჭოთა ხელისუფლებას შეყვანილი ჰყავდა „შავ სიაში“ და კრძალავდა მის ლიტერატურას. დაავადებულ და სიდუხჭირეში მცხოვრებ მწერალს, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ მისი უახლოესი მეგობარები: მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, ევგენი ხარაძე, გიორგი შატბერაშვილი და სხვ. 1930 წელს 26 წლის მწერალი გარდაიცვალა, დასაფლავებულია სოფელ პანტიანში.

ბასილ მელიქიშვილი გარდაცვალების შემდეგ, კიდევ ათეული წლები იყო აკრძალული. მისი შემოქმედების მცირე ნაწილი, 1975 წელს იატაკქვეშა ჟურნალ „ოქროს საწმისში“ დაბეჭდეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ.

წიგნი თურმანი არის ერთადერთი სრულყოფილი გამოცემა, სადაც მწერლის ნაწარმოებებთან ერთად, დაბეჭდილია სხვადასხვა ცნობილი ავტორის წერილები ბასილ მელიქიშვილის შემოქმედებაზე.



გარნიკ მელოიანი

კომპანია არემჯის საბურღი დაზგის ოპერატორი

„ბოლნისი არის ადგილი, სადაც დავიბადე, მიყვარს ეს ქალაქი, სხვანაირი სითბო და ურთიერთობაა აქ“ - ეს გარნიკ მელოიანია, რომელიც ქალაქ ბოლნისში დაიბადა, რუსული სკოლა დაამთავრა და სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ მალევე შექმნა ოჯახი. ჰყავს მეუღლე, შვილები და შვილიშვილები. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა სამსახურში, იყო მექანიკოსი ბოლნისის მინერალური წყლების ქარხანაში, შემდეგ მადნეულში სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში საბურღი დაზგის მემანქანის დამხმარე. გამოცდილების დაგრო-ვების შემდეგ მუშაობა გააგრძელა დაზგის მემანქანის პოზიციაზე. შემდეგ სამსახურის შეცვლა მოუწია და მუშაობა ბოლნისის ღვინის ქარხანაში ექსპედიტორად გააგრძელა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დღემდე უწყვეტი სტაჟით კომპანია არემჯის თანამშრომელია. ამბობს, რომ ეს არის პროფესია და ადგილი, რომელიც ძალიან უყვარს. 2020 წელს მას 31 წლიანი თავდაუზოგავი შრომისთვის „არემჯის წლის სამთოელის“ ჯილდო გადასცეს.

„ბედნიერი კაცი ვარ, მყავს კარგი ოჯახი, სამსახური და საუკეთესო თანამშრომლები. წლების მაძილზე წინსვლებიც იყო და რა თქმა უნდა წარუმატებლობაც, ეს არის საწარმო, სადაც ძალიან ბევრი ადამიანია დასაქმებული. რამდენიმე წელია კომპანიაში მუდმივად ხორციელდება ცვლილებები, ინერგება სიახლეები, თანამედროვე სტანდარტები და შესაბამისად მუშაობაც უფრო საინტერესო ხდება.“

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.